№ 10 იანვარი 16, შაბათი 1893 იანვარი 16, შაბათი № 10

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აჭარლის ქუჩაზედ, გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**ზაალ და ილია დავითის ძენი თავ. ხერხეულიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას ძმისა თვისისა **თავ. ალექსანდრე დავითის ძის ხერხეულიძისას.** მიცვალებულს გაასვენებენ **თავ. ზაალ ხერხეულიძის** სახლიდამ ვერის სასაფლაოს ეკკლესიაში 16-ს იანვარს, დილის 10 საათზედ, და ეკკლესიიდამ წაასვენებენ რკინის გზის სადგურზედ. დაასაფლავებენ ს. ერგნეთში, გორის მაზრაში. (1—1)

იმლევა ქირით

სოლოლაკის ქუჩაზედ, ტოლეს მაღაზიის პირდაპირ, გურგენოვის მამულში, № 5.

ორი დიდი შეერთებული ბოდვალი, რომელიც წინად ეჭირა არტემ ტერ-არუთინოვს; ფასის შეტყობა შეიძლება მამულის პატრონისაგან თამამშოვის ქარვასლაში.

**წლიური საზოგადო კრება**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა კრება, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია კვირას, იანვრის 24, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1891 წ. 1 სექტემბრამდე 1892 წ. ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{92}/_{93}$ წლისათვის და გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (5—2)

## გაზ. „Новое Обозрѣніе“ და კახეთის რკინის გზა.

„ჩვენის თავად-აზნაურობის მხიარულება და კარგს გუნებაზე ყოფნა“, უცნაურ გარემოებათა გამო, გუნებას უფუჭებს და უიმედობა-მწუხარებაში აგდებს გაზ. „Нов. Обоз.“-ეს რედაქციას. თავად-აზნაურობა მხიარულობს და იმედიანობს, „Нов. Обоз.“-ეს-კი „ცრემლი სდის შეუშრობელი“ და საყვედურითა და უიმედობით აქნევს თავს. რა ამბავია, რა მოხდა? რა არის მიზეზი, რომ „Новое Обозрѣніе“ სწუხს მაშინ, როცა თავად-აზნაურობა მხიარულად არის?

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს თვით იტვირთოს კახეთის რკინის გზის გაკეთება და მისი მართვა-გამგეობა. „Новое Обозрѣніе“ შიშობს, რომ ყოველი კაპიკი, რომელსაც თავად-აზნაურობა მოიგებს და შეიძენს, შეიძენს მკვიდრთა ჯიბიდამ, ან იმიტომ რომ ფასი საქონლის გადატან-გადაზიდვისა იქნება დიდი, ან იმიტომ რომ გზა მკვიდრად არ იქნება გაკეთებულიო. გაზეთის სიტყვებიდამ ცხადად სჩანს, რომ ყოველივე მოგება, რომელსაც-კი მისცემს ოდესმე გზა თავად-აზნაურობას, საზარალო იქნება კახეთის მკვიდრთათვის და მათ შორის თავად-აზნაურთათვისაცაო („Нов. Об.“, 6 დეკემბერი 1892 წ.).

რაკი ასეთია მთავარი აზრი გაზეთისა, რჩევითაც შემდეგს ურჩევს თავად-აზნაურობას მისი მეთაური წერილი: „ჩვენმა თავად-აზნაურობამ, რაც უნდა საკეთილო იყოს მისთვის პირობანი და ვითარება გზის გაკეთებისა, არ უნდა იტვირთოს მისი გაყვანა. ფულიც რომ იშოვოს იაფად და ადვილად, მხნე და ნიჭიერნი კაცნიც რომ მოსძებნოს და ხეირი ჰნახოს გზის მეოხებით, მაინც ეგ ხეირი საეჭვო იქნება, იმიტომ რომ მაგ ხეირს მისცემს მკვიდრი ხალხი, მისცემს მისივე ქვეყანა“. ჩვენ-კი ვგონებთ, რომ საეჭვოა არა ხეირი, არამედ სჯა და საბუთები პატივცემულის გაზეთისა, რასაც ქვემორე მოგახსენებთ. ხოლო მანამდე ვეცადოთ და მიუხვდეთ, რა აზრი აქვს „Новое обозрѣніе“-ს მეთაურ წერილის რჩევასა და გაფრთხილებას.

რაკი გაზეთმა დაიცვა ამ სახით „მკვიდრთა კაპიკი“ თავად-აზნაურთა ხვეჭისაგან, მერე ასე განაგრძობს: „მთავრობაცა და კერძო ამხანაგობა და კაცნიც სიამოვნებით ნდომობენ კახეთის გზის გაყვანასა და მართვა-გამგეობას. ნდომობენ და იტვირთონ კიდეც და იმათვე ჰნახონ ხეირი ამ საქმეში, ოღონდ-კი იგი ხეირი ძვირად არ დაუჯდეთ კახეთის მკვიდრთა“.

უცნაური ამბავი გვრჩება ხელში ყოველ აქედამ. მაშ ასეა საქმე: 1) კახეთის გზის გაკეთება საჭიროა; 2) ვერ უარ-ვყოფთ ამ საქმის სარგებლიანობას, რადგან ეგ სარგებლიანობა აღიარეს მთავრობამაცა და კერძო კაცებმაცა, რომელნიც სიამოვნებით ნდომობენ გზის გაყვანას და მის მართვა-გამგეობას; 3) მაგრამ მოგება გზისა (ანუ, „Нов. Обоз.“-ეს სიტყვა-პასუხით, „ხეირი“) ხალხის ზარალის მომასწავებელი იქნება, გზა ისე ვერ ისარგებლებს, რომ ეს სარგებლობა ქვეყნის ჯიბიდამ არ ამოვიდეს; 4) ამიტომ, თუ თავად-აზნაურობას არ უნდა, რომ მდიდრდებოდეს და იგებდეს ფულს თავის ქვეყნისავე ხარჯით, ხალხის გაღარიბებით, არც უნდა იტვირთოს კახეთის გზის გაკეთება; 5) ისევ ისა სჯობიან, რომ მთავრობამა და კერძო კამპანიებმა და კაცებმა ჰნახონ ხეირი, ხოლო თავად-აზნაურობამ მოარიდოს მაგ საქმეს თავიო.

ასეთია, თუ არა ვსცდებით, აზრი „Новое Обоз.“-ეს ლაპარაკისა. სწორედ მოგახსენოთ, ძნელი გასაგებიკია, ვის სასარგებლოდ მსჯელობს ასე გაზეთი და ვის უნდა აამოს ასე უცნაურად ანუსხულ საბუთებით.

პირველში გეგონებათ, რომ გაზეთს მკვიდრთა და მცხოვრებთა ინტერესების დაცვა აქვს სახეშიო. ამიტომ, თუნდა შეცდომითაც მოსდიოდეს ეს გაზეთს, რაშიც ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, არ შეიძლება მაინც თანაგრძნობით არ მოეკიდოთ მის სურვილს. მაგრამ, როცა ჩაუკვირდებით საქმეს, ჰხედავთ, რომ ეგ ინტერესები მხოლოდ ხელზედ დახვეული სიტყვის მასალაა, ლოღიკის ლამაზი წინადადებაა და არა ჭეშმარიტი საფუძველი მსჯელობისა და საბუთების ანუსხვა აგებისათვის.

ჯერ პირველი ესა, რომ თავს არ მოდის, რკინის გზა მიაჩნდეს კაცს ჩვენს დროში ისეთ ღონისძიებად, რომლის შემწეობითაც მკვიდრთა ჯიბიდამ ამოაქვთ „გროშები“. თუ რკინის გზით ამოაქვთ კიდევ და, ხომ იმავე გზის წყალობით და იმავე ჯიბეში იგივე „გროშები“ ჩადის უფრო მეტის ფასისა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ვითომ გაკეთება ახალის, ფრიად საჭირო რკინის გზისა, მაზარალებელია ქვეყნისათვის, რადგან იმის შემწეობით ცალიერდება ჯიბე-უბეები მკვიდრთა. მაგრამ, როგორც ეტყობა, „Нов. Обоз.“-ეც არა ჰფიქრობს ამასა, იმიტომ რომ სრულად არ უარ-ჰყოფს კახეთის გზის გაყვანის სარგებლობასა და საჭიროებას. მაშ, რა ამბავია და როგორ არის საქმე? თუ გზა საჭიროა და სასარგებლო, განა ეს იმასა არა ჰნიშნავს, რომ იმ გზის გაკეთებით მკვიდრთ არავითარი ზარალი არ მოუვათ? თუ ასეა, მაშ მოგება გზის პატრონისა და გამყვანისა, ვინც უნდა იყოს პატრონი და გამკეთებელი—თავად-აზნაურობა, მთავრობა, თუ კერძო კაცნი,—რაღად უნდა იყოს, ვამბობთ, ის მოგება საზარალო მკვიდრთათვის და მათ შორის თავად-აზნაურობისათვისაც, როგორც ჰგონებს „Новое Обозрѣніе“? დავიჯეროთ, ერთსა და იმავე ახალს საეკონომიო საქმეს არ შეუძლიან მისცეს ხეირი მკვიდრთაც, ამ ახალ საქმის დამწყებსაცა და მის პატრონსაც? ან სად არის ისეთი, არა თუ საეკონომიო საქმეები საზოგადოდ, არამედ კერძოდ და განსაკუთრებით ისეთნი რკინის გზანი, რომელთაც მხოლოდ მკვიდრთა სახეიროდ აკეთებდნენ და ამასთანავე სახეში არა ჰქონდეთ ხეირი თვით გზის პატრონისაცა? თუნდ მთავრობა და ხაზინა ავიღოთ. როცა მთავრობა ან ხაზინა აკეთებს გზას, სახეში არა აქვს, რომ სასარგებლო იქნება საკუთრად ჩემთვისაცაო? ხელს-კი მოჰკიდებს ვითომ იმისთანა გზის კეთებას, რომელიც სახეირო არ იქნება? თუ მოჰკიდებს კიდევ ხელს, ან შეცდომით მოუვა, ან არა და, მისი სასტრატეგიო მნიშვნელობა ექნება სახეში და არა საქველ-მოქმედო მოსაზრებანი, და არა დაზოგვა, ან ნაზი სიყვარული და პატივისცემა მკვიდრთა ჯიბე-უბისა!

ამერიკელებს თუ მოვიყვანთ აქ მაგალითად. იმათ იციან არა-იშვიათად გზების კეთება ისეთს ალაგებში, რომელიც ძალიან ნაკლებად არის დასახლებული და უდაბნოსა ჰგავს. მაგრამ რად იციან? იციან იმიტომ, რომ გზის გაკეთებას მოჰყვება ამ უდაბნოს დასახლებაო და, თუ პირველადვე არა, შემდეგ მაინც ვნახავთ მოგებასაო. ამერიკელებს გაჰყავთ ასეთი გზები და მით ჯერ დიდი ფასი ედება თვალ-გადუწვდენელს მინდვრებს იმ მიდამოში და მერე მაინც ისა აქვთ აზრად, რომ ხეირსა ვნახავთო. არც მოსტყუვდებიან ხოლმე. ამ სახით, ამერიკაში გზების კეთების ანგარიში ცოტა სხვანაირ საფუძველზეა დამყარებული, ვიდრე ჩვენში, მაგრამ უგუნურება იქნება, ვიფიქროთ, ვითომ ამერიკელ გზის მკეთებელთ აზრად არა აქვთ ჩაიჩხრიალონ ჯიბეში მკვიდრთა გროშნი, რომელთა ბედიც ასე აწუხებს „Нов. Обоз.“-ეს გულ-მტკივნეულს რედაქციას.

ზოგი ხვალ იყოს.

ივერიელი

# ფელეტონი

## მგოსანი

ზოგჯერ რომ მადლი მომბერავს,
გამინათლდება გონება,
ვითომ სულ ახლად ვშობილვარ,
ახალი თავი მომება;
ახალი ფიქრი, სულ ტკბილი,
აღარსად გულის ღონება!
რარიგად მიყვარს ქვეყანა,
ერთს წამს თავ-დავიწყებულსა,
ყველა კეთილად მიმაჩნავ
სახე—მზებრ გაბრწყინებულსა;
ველარსად ტანჯულსა ვხედავ,
ველარსად გაჭირვებულსა.
რა ტკბილადა ვგრძნობ ჩემს თავსა,
რა რიგად ხალისიანად:
ვითომ ეს ტურფა სამყარო
მეკუთვნის ხმელ და ციანად.
არავინა მყავს მოცილე,
არცვინ მლანძღველი ხმიანად...
მაგრამ წავიდა ის წამი
და ის ციური ოცნება...
ალტაცებული მოლექსე
ვინ იყო, აღარ მეცნობა,—
ისევ ის მომაკვდავია,
ისევ ის გულის მხეცობა!
საწყალი დავრჩი საწყლადა,
დაცლილი, როგორც ქოთანი,
როგორც დამწვარი მინდორი,
აოხრებული ბოსტანი,
არც მეგობარი, არც მოძმე,
ერთი საწყალი მგოსანი!

თ. რაზიკაშვილი

1892 წ.

## ახალი დებულება

ქალაქის საქმეთა მართვა-გამგეობისა

დიდმა განმათავისუფლებელმა რუსეთის ერისამ, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ, სხვათა საკეთილო დაწესებულებათა შორის, შემოიღო აგრედვე თემთა და ქალაქთა თვით-მმართველობა, ანუ საერობო და საქალაქო დებულებანი. ორთავ ამ დაწესებულების უმთავრესი აზრი ის იყო, რომ ხალხს გამოეჩინა უნარი თავის-თავის მოვლა-პატრონობისა. მანამდე რუსეთის ქვეშევრდომთა ცხოვრება ისე იყო აგებული, რომ ყველაფერი უნდა ენაღვლა ხალხისათვის მთავრობას. გარდა სახელმწიფო და საპოლიციო ზედამხედველობისა, გზების საქმეც ერთიან მის ხელში იყო, ხიდებისაც, სწავლა-განათლებისაც, საექიმოც, ერთის სიტყვით, ყოველივე, რაც-კი საჭიროა ქვეყნის კეთილდღეობისათვის. როდესაც რუსეთის ცხოვრებამ თანდათან წარმატებაში შედგა ფეხი, მაშინ აღმოჩნდა, რომ მთავრობის ძალ-ღონე ვეღარ მოახერხებს ერის ყოველ საჭიროებას დაადოს შესაფერი მალამო. ამავე დროს რუსეთის დაწინაურებულმა საზოგადოებამ იგრძნო ხალისი საქვეყნო მოღვაწეობისა და ასპარეზი-კი არსადა ჰქონდა თავისის უნარისა და მხნეობის გამოჩენისათვის. შესამსუბუქებლად მთავრობის გამრავალ-კეცებულის მოვალეობისა, რომელსაც იგი ვეღარ ასდიოდა, და თანაც გამოსაწვევად დაწინაურებულ საზოგადოებისა სასარგებლო ასპარესზედ, განსვენებულმა იმპერატორმა შეადგინა დებულება სათემო და სამოქალაქო თვით-მმართველობისა. სათემო დაწესებულებას მიენდო შინაური მართვა-გამგეობა მთელის გუბერნიისა, ხოლო სამოქალაქო დაწესებულებას—თვით-მმართველობა ქალაქის შინაურის ავკარგიანობისა. პირველ დაწესებულებისა, საუბედუროდ, ჩვენმა ქვეყანამ არა იცის-რა, იგი შემოღებულია მხოლოდ შიდა რუსეთში. რაიცა შეეხება მეორე დაწესებულებას, იგი დღემდე ბედმა არგუნა რამდენსამე ქალაქს ამიერ-კავკასიისას: ტფილისს, ბაქოს, ქუთაისს, ფოთს, ერევანს, ახალქალაქს, გორს და ამ რამდენისამე წლის წინად—ბათუმს. სხვა ქალაქები-კი დარჩნენ კვლავ პოლიციის გამგეობაში.

თემობისა და სამოქალაქო თვით-მმართველობის მოღვაწეობამ დიდად შესცვალა ფერი რუსეთის ცხოვრებისა. ათასი საქვეყნო და საზოგადოებრივი საქმე დაიბადა ამ ოცის წლის განმავლობაში და სასიქადულოდაც იქმნა შესრულებული ხსენებულ დაწესებულებათა მიერ. მრავალი განათლებული და თავგამოდებული საზოგადო მოღვაწე გამოჩნდა რუსეთში ამ ახალს საქვეყნო სარბიელზედ. ერთი ათად გამრავლდა რიცხვი სახალხო სკოლებისა, გაკეთდა უთვალავი გზები, გაშენდა ბევრ-გვარი

# ახალი ამბავი

*** 13 იანვარს სიონის ტაძარში წმ. ნინოს დღესასწაულობისა გამო მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა, ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის თანამწირველობით, გარდაიხადა სადღესასწაულო ლოცვა. მეორე დღეს 14 იანვარს ეპისკოპოსმა ბესარიონმა სამღვდელოების თანამწირველობით გარდაიხადა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი უფლისა მიმართ. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო, ტაძარი და გალავანი სავსე იყო მლოცველებით.

წირვის დროს სიტყვა წარმოსთქვა იღუმენმა ლეონიდმა. ამ სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ.

*** ხუთშაბათს, 14 იანვარს ტფილისის წმ. ნინოს დედათა ინსტიტუტის დარბაზში აქტი მოხდა. ინსტიტუტის ეკკლესიაში მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ექსარხოსმა ვლადიმირმა სწირა და გარდაიხადა პარაკლისი. ინსტიტუტის ეკკლესიაში საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მ. ავდაშკევიჩმა სიტყვა წარმოსთქვა.

შემდეგ აქტი დაიწყო, რომელსაც სხვათა შორის დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი ს. ა. შერემეტიევი მეუღლით, მისი თანაშემწე ი. დ. ტატიშჩევი მეუღლითურთ, კავკასიის ჯარის კორპუსის კომანდერი თ. ზ. გ. ჭავჭავაძე, ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის კომენდანტი ა. ა. ერნსტი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლ. ა. მაღალაშვილი, ქალაქის მოურავი თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, სხვა დიდკაცობა და მრავალი ხალხი. ამავე დღეს საღამოთი ინსტიტუტში გაიმართა ბალი მოწაფე ქალთათვის.

*** დღეს, საღამოს 7½ საათზედ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების მორიგი კრება იქმნება. კრება მოისმენს მკურნალთ—ბ-ნ ვართაშევიჩისა და ბ-ნ ოცკევიჩის მოხსენებას.

*** ჩვენ მივიღეთ ტყიბულიდამ ბ-ნ ვ. მასხულიასაგან 6 მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ დასაკვეთად. ამ ფულისა გვქონდა 271 მ., შესდგა 277 მან.

*** კავკავის გზაზეთ დიდი თოვლი მოსულა და ამის გამო ტფილისში ოთხი დღე რუსეთიდგან ფოსტა არ მოსულა, და მხოლოდ 13 იანვარს მოვიდა.

*** ქალაქის სამკურნალოს ფერშლებმა თხოვნა მიართვეს ექიმს ავთანდილოვს მასზედ, რომ ქალაქის გამგეობა ძლიერ მცირე ჯამაგირს აძლევს მათ და ამასთანავე საჩუქარსაც თავის დღეში არას უნიშნავს, თუმცა მათი ჯაფა და შრომა წლითი-წლობით იზრდება და მატულობს. ფერშლები იღებენ თთვეში ოც-ოც მანეთს ჯამაგირს. თითქმის ყველანი სახლობის პატრონები არიან, დროც აღარა აქვთ, რომ გარეშე იქონიონ პრაქტიკა და, რასაკვირველია, დიდს გაჭირვებაში იქმნებიან. ექიმმა ავთანდილოვმა ეს თხოვნა, გაუგზავნა ქალაქის გამგეობას და თავის მხრივ ჰმოწმობს, რომ ფერშლებს მართლა გაუორკეცდათ შრომა და ჯამაგირები-კი ისევ იმდენი ეძლევათ, რაც ამ ათის წლის წინად ჰქონდათო. მიზეზიც ეს არისო, რომ ზოგი თექვსმეტის წლის ნამსახურობის შემდეგ ანებებს თავს ქალაქის სამკურნალოს და სხვაგან გადადის სამსახურში, სულ მცირედაც რომ მოუმატონ ჯამაგირიო. ამის გამო ქალაქის გამგეობა სამართლიანად მოიქცეოდა, რომ 20 მანეთის მაგიერ დაენიშნა 30 მანეთი ჯამაგირიო, მით უმეტეს რომ 30 მანეთს ჯამაგირს იღებენ ქალაქისავე ფერშლები, რომელნიცა მსახურობენ სადეზინფექციო კამერაში და სხვა ნაწილშიო. ფერშლების თხოვნა ქალაქის გამგეობამ გარდასცა სანიტართა კომისიას, რომ მათი აზრი წარუდგინოს ქალაქის საბჭოს განსახილველად.

*** თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი დიდი ხანია ცდილობდა განიერი და სწორე ქუჩა გაეყვანა მადათოვის კუნძულზე თავის სამხერხაოებში, მაგრამ აქამომდე ხან ერთი მემამულე უშლიდა ხელს, ხან მეორე. ქალაქსაცა აქვს ამ კუნძულზედ თავისი მიწა. ამის გამო თავ. მუხრანსკიმ მიჰმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა—გავიყვან ქუჩას ექვს საჟენიან სიგანისასაო და რა მიწასაც დაიჭერს ეგ ქუჩა, სულ ქალაქს დავუმკვიდრებო. საბჭომ ამ საქმის გამოკვლევა მიანდო ქალაქის გამგეობას და აღმაშენებელს კომისიას, რომელთაც მოიწვიეს რწმუნებული თავ. მუხრანსკისა და შეიმუშავეს პირობა ხელ-შეკრულობისა. ამ ხელ-შეკრულობის ძალით, ქალაქმა უნდა დაიმკვიდროს მიწა, რაც ქუჩას მოუნდება, ხოლო უკეთუ ქუჩის გაყვანის გამო რომელიმე პატრონი მამულისა დავას ასტეხავს—მაგ ადგილზე რად გაგყავთ ქუჩა, მიწა ჩემიაო, ამ დავის მოპასუხე უნდა იყოს თავ. მუხრანსკი და არა ქალაქი. ეს ხელ-შეკრულობა წარედგინება საბჭოს, რომელიც, უეჭველია, მოიწონებს და ამ სახით ეს გაბინძურებული კუნძული, დღეს იქმნება თუ ხვალ, სისუფთავეში ჩავარდება და აღარ გააუშნოებს ქალაქის შუა გულს, როგორც აუშნოვებს ეხლა.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ერთს ხმოსანთაგანს განუზრახავს წარუდგინოს საბჭოს მოხსენება იმის შესახებ, რომ, რადგან ცივი ზამთარი დადგა, ქალაქმა გადასდოს საკმაო ფული და ამ ფულით იყიდოს შეშა ღარიბ ქალაქის მცხოვრებთათვის. ეჭვი არ არის, ეს მოხსენება არ გახდება საკამათო საგნად და ქალაქი დროზე მიეშველება გაჭირვებულს ხალხს. კაცთა მოყვარეობისა და სამართლიანობის გარდა, გონივრული ანგარიშიც მოითხოვს, რათა ღარიბ მცხოვრებთ მიეშველოს ქალაქი და არ გაათელვინოს ისინი სიცივესა და სხვა გაჭირვებას.

*** პეტერბურგის გაზეთის „ნოვოე ვრემია“-ს ტფილისელ კორესპონდენტმა ამას წინად უმართებულოდ გაჰკიცხა ტფილისის საარტისტო საზოგადოება; ამ საზოგადოებამ ახლა სასამართლოში უჩივლია აღნიშნულს გაზეთს და საქმის წარმოება მიანდო პეტერბურგელს ნაფიც-ვექილს, ბ-ნ მირონოვს, რომელიც ეხლა ტფილისში იმყოფება.

*** ტფილისის საპატიმროში ამას წინად შემოიღეს სხვა-და-სხვა ხელობის სწავლება პატიმართათვის. პატიმარნი დიდის გულმოდგინებით სწავლობენ თურმე სხვა-და-სხვა ხელობას. ეხლა კიდევ განუზრახავს მთავრობას პატიმრებს ასწავლოს ბაღოსნობა, ბოსტნეულობის და ყვავილების მოყვანა, რისთვისაც მოუწვევია მასწავლებლად მებაღე, ბ-ნი კინცელი.

*** ტფილისის ერთ მკურნალს განუზრახავს პარიჟის მეცნიერ-ექიმის ბროუნ-სეკარის-მიერ მოგონილი საშუალება სცადოს ჰლექიანების მოსარჩენად.

*** 1 თებერვლიდამ შეიცვლება ნიხრი აფთიაქის წამლებისა. ახალის ნიხრით წამლები გაცილებით იაფად გაიყიდება. წამლების ფასს დააკლდება თითქმის 22%, წამლების მომზადების ფასს 24½%, წამლებისთვის ჰურჭლის ფასს 10%. აფთიაქების პატრონთ უფლება ეძლევათ ლამაზ კოლოფებითა და შუშებით გაჰყიდონ წამლები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკურნალს რეცეპტში ეწერება „in forma elegantissima“. ამას გარდა დაწესებულია, წამლების ნიხრი ყოველ წლივ განიხილულ იქმნას. საზოგადოდ ახალი ნიხრი დიდს შეღავათს მისცემს ხელ-მოკლე კაცს, რომელსაც ხშირად უჭირს წამლების ყიდვა სიძვირისა გამო.

*** საქალაქო ახალი დებულება მომავალ გაზაფხულს უნდა იქმნეს შემოღებული ტფილისში. ხმოსანთა არჩევა, რომელთა რიცხვი ახალ დებულების ძალით არ აღემატება 80 კაცს, მაისში მოხდება. შემდეგ ამოირჩევენ ქალაქის მოურავს და სხვა მოხელეთ ქალაქის გამგეობისას. ქალაქის მოურავის კანდიდატად, თ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის გარდა, ასახელებენ ბ-ნ იზმაილოვსაც.

*** ახლა კავკასიის ყველა გუბერნატორები ტფილისში არიან შეკრებილნი და სხვათა შორის იმის გარკვევასაც შესდგომიან, თუ რა ღონისძიებით უნდა ებრძოლონ მომავალს გაზაფხულსა და ზაფხულს ხოლერას, თუ ვინიცობაა კიდევ გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში.

*** 13 იანვარს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების გამგეობის დარბაზში კურსის შესრულების ეგზამენი დაიჭირეს ტფილისის დედათა საბებიო ინსტიტუტის მოსწავლე ქალებმა, რომელთა შორის 11 ქალმა ბებიაობის წოდება მიიღეს.

*** ახლად დანიშნული თავმჯდომარე საარქეოგრაფიო კომისიისა, ბ-ნი მ. დ. ფელიცინი ეხლა ტფილისშია და თავის თანამდებობის შესრულებას შეუდგა.

*** ბათუმი: 14 იანვარს, საღამოს 7 საათზე, რამდენიმე ავაზაკი დაეცა რკინის გზის არტელი სახლს. იქ ამ დროს იყვნენ ლისინოვი და ფერშალი კურასოვი. ავაზაკებმა ლისინოვს კასის გასაღები მოსთხოვეს. ლისინოვმა უარი უთხრა, გასაღებს არ მოგცემთო. უარის თქმისათვის ავაზაკებმა დასჭრეს ლისინოვიცა და კურასოვიც. შემდეგ გასაღები თითონვე მონახეს, გააღეს სალარო და წაიღეს 8,170 მანეთი ფულად და 600 მანეთის ჩეკი. ავაზაკების საპოვნელად ფიცხელი ღონის-ძიებაა მიღებული.

*** ხობი (ზუგდიდის მაზრა): ჩვენში ძლიერ გახშირდა ქურდობა. 8 იანვარს, ღამე, ს. ხობის მცხოვრებს ალმასხან რეკვავას სახლი გაუტეხეს და ცხენი მოჰპარეს. ამას წინად ს. ქვალონში ბ-ნ ლოლუას სახლი გაუტეხეს და ერთი ცხენი გამოიყვანეს. დეკემბრის გასულს ს. ბიაში ერთ გლეხს კარგი ბერწი ძროხა მოჰპარეს. ს. ხეთაში კიდე ერთი ცხენი დაიკარგა. ვინ ჩამოსთვლის რამდენი ქურდობა ხდება ჩვენში.

8, 9 და 10 იანვარს საშინელი ზენა ქარი ჰქროდა და დიდი ზიანი მოგვცა, მოხუცებულები ამბობენ, ახეთს საშინელს ქარს არ მოვსწრებივართო.

*** ლეჩხუმი: ამას წინად შუადღისას სოფ. ცაგერში შემდეგი ამბავი მოხდა.

ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. თეიმურაზ კაციას ძე ახვლედიანი თავის მხლებლებით, შურის ძიების გამო, მიუხდნენ ალექსი გიორგის ძე ახვლედიანს. პირველად წინ შეეჩეხათ მოსამსახურე ბიჭი, რომელსაც ამ დროს ცხენი მიჰყავდა წყალზედ. დაეცნენ ბიჭს კეტებითა და ხანჯლებით. ეს რომ დაინახა ი. ალ. ახვლედიანის შვილმა—ერმილემ, შეიარაღებული მივარდა და ჰკითხა: ბიჭს რას ერჩით, თუ რამე გინდათ, მე მითხარით და პასუხს მე გაგცემთო. ამის პასუხად უცებ თავში კეტი დაარტყეს და ძირს დასცეს. მერე კიდევ შვიდ-რვა ადგილს დასჭრეს ხანჯლით და დიდხანს წიხლებით სთელეს. მოხუცი მამა გამოვარდა შვილის საშველად, მაგრამ მას დამბაჩებით მისცვივდნენ. როცა დამ-

---

სამოწყალო თავშესაფარები, სამკურნალოები და სხვანი. ერთის სიტყვით, გამოფხიზლდა ხალხი და მოჰკიდა ხელი თავის საჭიროებათა გაძღოლის საქმეს. სამწუხაროდ, ამ ათ-თორმეტის წლის განმავლობაში ცოტა მრუდის თვალით დაუწყეს ცქერა ხალხის გამოფხიზლებას, თანაც ამავე დროს რუსეთში გაძლიერდა ერთგვარი მიმართულება, რომელსაც საზოგადოებათა თვით-მმართველობა არაფრად ეჭაშნიკება. მთელი ყურადღება ამ მიმართულების მომხრეთა იმაზედ იყო მიჩერებული, რომ როგორმე ფრთა შეეკვეცა თვით-მმართველობისთვის და შეემცირებინა მოედანი მისის მოქმედებისა. თითქმის კიდეც შეისრულეს თავიანთი წადილი. ჯერ სათემო დაწესებულებას ჩამოერთვა უფლება თავის საქმეთა ხელ-შეუხებელის მართვა-გამგეობისა. შარშან აგვისტოში კიდევ გამოცვლილ იქმნა სამოქალაქო დებულება. დღემდე ქალაქის მართვა-გამგეობაში წილი ედო ყველას, ვისაც-კი ებადა ქალაქში უძრავი ქონება და ხარჯს იხდიდა დაფასებისას, წილი ედო აგრეთვე ნოქარს, რადგან ისიც ბილეთის ხარჯს აძლევდა ქალაქის კასას. ახალის დებულების ძალით, ეს ღარიბი ნაწილი მოქალაქეთა ველარ გაერევა ქალაქის მართვა-გამგეობაში, თუმცა ხარჯი-კი მაინც უნდა აძლიოს ქალაქსა. თვით-მმართველობა ერთიან გარდაეცა იმ მოქალაქეებს, ვისი მამულიც თვალსაჩინო ფასისაა, თანაც რაოდენობა ამ ფასისა სხვა-და-სხვა ქალაქებში სხვა და სხვაობს, მაგალითად, ისეთს ქალაქში, როგორც ტფილისია, მამული უნდა ღირდეს არა ნაკლებ ას-ორმოც-და-ათის თუმნისა. გარდა ამ მემამულეთა, თვით-მმართველობაში წილი უდევთ პირველისა და მეორე გილდის ვაჭრებს, აგრეთვე სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, რომელთაც-კი მოეპოვებათ უძრავი ქონება ზემო აღნიშნულის ფასისა. ამ სახით გამოდის, რომ ახალი წესდება ხელს უწყობს მდიდარსა და შეძლებულს ხალხს, მაშინ როდესაც ღარიბი მოქალაქე სრულებით წრეს გარეშე რჩება. ამის კვალობაზედ, რასაკვირველია, დიდად უნდა შემცირდეს რიცხვი იმათი, რომელთაც დღემდე ჰქონდათ ხმა ქალაქის ყოფა-ცხოვრების წარმართვაში. მაშინ როდესაც აქამომდე ოთხი და ხუთი-ათასი კაცი ჰყავდა ტფილისს ამომრჩეველი, ხმისა და კენჭის უფლების პატრონი, დღეს მათი რიცხვი ათას-ხუთასი კაცი ძლივს იქნება. მაშასადამე, თუ აქამომდე ოთხსა და ხუთი-ათას კაცში შეგეძლოთ ამოგერჩიათ საქალაქო საქმეების წინამძღოლად უკეთესი მკვიდრი, დღეს თქვენ გეუბნებიან—მარტო ათას-ხუთას კაცში უნდა ამოარჩიო ქალაქის გამგენიო და არამც-და-არამც სხვა მოქალაქენი არ მოიწვიო, გინდა სწორედ მათ შორის იყვნენ ისეთნი კაცნი, რომელთაც ყველაზე უკედ შეუძლიანთ ქალაქის მოვლა-პატრონობა და თქვენის საჭიროების გაძღოლაო.

ეს გახლავთ უმთავრესი ხასიათი და თვისება ახალის საქალაქო დებულებისა და ამით ეს დებულება ძირეულად განირჩევა ძველისაგან.

გარდა ამომრჩეველთა ხსენებულის შემცირებისა, თვით ამორჩეულნიც ველარ ისარგებლებენ იმ თავისუფლებით, რომელიც აქამომდე ჰქონდათ მინიჭებული ძველის დებულებით. დღემდე აი როგორ იყო საქმე: მოქალაქენი ამოირჩევდნენ ხმოსნებს, დაულოცავდნენ გზას მოქმედებისას და ეტყოდნენ—თქვენ იცით და თქვენმა სინიდისმა, თქვენმა კეთილგონიერებამ და გამჭრიახობამ, როგორც გვიპატრონებთო. ხმოსნები ამოირჩევდნენ თავიანთ შორის ღირსეულთ გამგეობის წევრებად და ქალაქის მოურავად. ამათ უნდა შეესრულებინათ ყოველი განაჩენი ხმოსანთა კრებისა, ანუ საბჭოსი. მართალია, ქალაქის მოურავის დამტკიცება მთავრობის ხელში იყო, მაგრამ საქალაქო დებულება ისეთს საძირკველზედ იყო აშენებული და ისე იყო დაცული ღირსება საბჭოსი, რომ ამოდენის ხნის განმავლობაში თითქმის მაგალითი არ იცის რუსეთის ცხოვრებამ, რომ საბჭოს მიერ ამორჩეული მოურავი დაეწუნებინოს მთავრობას. ამასთანავე საბჭო, მართალია, მოვალე იყო წინადვე ეცნობებინა გუბერნატორისთვის, რომ დღეს ამა-და-ამ საქმის შესახებ გვექმნება მსჯელობაო, და თვით ოქმიც საბჭოს თათბირისა და განაჩენისა უნდა წარედგინა მთავრობისთვის, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომა ხდებოდა, რომ მთავრობას თვალ-ყური ედგო საბჭოსთვის და არ დაეჩაგვრინებინა მოქალაქენი, უკეთუ საბჭო ვერ იქმნებოდა სასურველ წარმომადგენელთაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩებმა ვერ შეასრულეს თავის დანიშნულება, ისევ კეტებით მიეხვივნენ.

მძიმედ დაჭრილი თ. ერმილე ახვლედიანი ჯერ კიდევ ცოცხალია *).

*** თელავი: 4 იანვარს, კლუბის დარბაზში გამართული იყო კოსტიუმებიანი ბალი თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ გვარი ბალი, ეს სამი წელიწადია, ყოველთვის იმართება აქ იანვრის დამდეგს და საზოგადოებაც ბლომად ესწრობა. კოსტიუმიანთა შორის ყურადღება მიიქცის ბერძნის ქალად და ყვავილებისა და ტკბილეულობის მყიდველად ჩაცმულებმა. ყურადღება მიიქცია აგრეთვე ხევსურულად ჩაცმულმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც სრულს ძველებურს ხევსურულს იარაღში იყო ჩასმული, ეცვა წვრილთვალა პერანგი რკინისა, ეხურა მუზარადი, ეკირა ფარი, ჰქონდა სამკლავენი და სხვა. ბალმა მხიარულად ჩაიარა და შემოსავალიც ბლომად იყო. სამწუხარო ისაა მხოლოდ, რომ იმისთანა ბალს ყველა ეტანება და ყველას ჯიბე ძალიან უცარიელდება: არ წავიდეს ბალში, არ აქნება, პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს იცნობს, დასძრახავენ; წავიდეს კიდევ და—უნდა ბევრი დახარჯოს ტანისამოსისა და კოსტიუმებისათვის. ძნელი საქმე მოსდის მეტადრე იმას, ვისაც ორი და სამი გასათხოვარი ქალი ჰყავს.

*** გაზეთ „Кавказъ“-ში შემდეგ ამბავს ვკითხულობთ. წარსულ 1892 წელს ქ. ვენის პროფესორმა პალიზამ აღმოაჩინა ერთი ახალი პლანეტა, რომელსაც დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის სურვილისამებრ სახელად „თამარი“ დაარქვა. ვარსკვლავთ-მრიცხველნი თითქმის ყოველ წელს რამდენსამე ახალს პატარა პლანეტას აღმოაჩენენ ხოლმე. ამ ჟამად სულ 840 პლანეტა ითვლება. პროფესორი ს. გლაზენაპი სწერს, რომ ახალი პლანეტა „თამარი“ ჯერ პატარაა, მაგრამ გაივლის დრო, ეს პლანეტა გადიდდება, ელვარება მოემატება და სამუდამოდ დაამშვენებს ცასა. განვლო საუკუნოებმა, ჟამთა ვითარების გამო გაჰქრა თამარის მიერ აგებული კოშკები და ციხეები; პატარა „თამარი“-კი უკუნითი უკუნისამდე დაამშვენებს ცის კიდესა და თანდათან გაძლიერდება მისი ელვარება.

*) ვბეჭდავთ ამ ამბავს და არ ვიცით-კი, რამდენად მართალია.

*** „Т. Л.“-ის სიტყვით, ვილაც ნიკოლოზ ევლასიევს ქუთაისის გუბერნიაში, იანგუნ-დერეში, რომელიც თოლგომ-სუის ხეობის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ოქროს მადანი აღმოუჩენია და ამაზე ცნობა მიუცია სამთო გამგეობისათვის.

*** 14 იანვარს ალექსანდრეს ბაღში იპოვნეს ორის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ ლაზარე ჩანუქვაძე; გადაყვანილ იქმნენ: წინანდლის სოფის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი, გუბერნსკი სეკრეტარი სტეფანე ქორქაშვილი იმავე თანამდებობაზე სამტრედიის საფოსტო განყოფილებაში; ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე, კოლლეჟსკი ასესორი იაგორ ქლენტი ბათუმში, იმავე თანამდებობაზე.

თხოვნისამებრ, სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნენ: ავადმყოფობისა გამო, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე პავლე ანთაძე და ჯულფის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის თანაშემწე, ნადვორნი-სოვეტნიკი დეკანოზიშვილი, სამსახურის მუნდირის ტარების ნება-დართვით; თხოვნისამებრ, სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა—ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე პეტრე ჯაყელი.

## გ ა კ ვ რ ი თ

(წერილი პროვინციიდამ)

ამას წინად ერთხელ კიდევ იყო ჩვენსკენ არჩევანები. ასარჩევი აირჩიეს დას-დასად გაუსვლელად, მშვიდად და წყნარად, შეუბრძოლებლად. უსადილ-ვახშმოდ მოხდა ყოველივე ესე, თუ არა—ამის შესახებ გადმოცემა მდუმარეობს და არაფერს ამბობს...

მერმე რაო? სადილ-ვახშამი ხომ ახალი ამბავი არ არის და, ვინც კერძო ინტერესებისათვის სადილ-ვახშმებს და ქრთამებს ჰხმარობს საშუალებად, ყველა ადვილად ჰმართლულობს თავს: მარტო მე ხომ არ ვიქცევი მაგრე, აკი სხვებიც ასე იქცევიანო,—აი თუ გინდ ჩამოგითვლითო, და მართლაც საფუძვლიანად დაგისახელებთ: ივანეს, პეტრეს, დომენტისა და მიკინტრუშას და სხვ. საზღვარ-გარედაც გადავა და იქაც მონახავს თავის გასამართლებელ საბუთებს: იქაც არიგებენ ქრთამებსა, იქაც ჰმართავენ სადილებს, იქაც ქურდობენ და ავაზაკობენო—თამამად დაგიწყებს დავას რაინდი—კანდიდატი სხვა-და-სხვა საკენჭო ადგილებისა. გულს გაგიწყალებენ უფრო გაიძვერა დასის-თავები, რომლებიც ახლა პანამის საქმესაც აღარ დაივიწყებენ. აქამდინაც იქით იშვერდნენ ხელსა და ახლა ხომ გაიშვერენ და გაიშვერენ... აი, შეხედეთ, თქვენი განათლებული საფრანგეთი რაებს სჩადისო!..

ის-კი სრულიად ავიწყდებათ ამ ვაჟბატონებს, რომ ყველა ამისთანა გარემოება საფრანგეთშიაც და სხვაგანაც სისაძაგლედ მიაჩნიათ და ავაზაკი მით ვერ გაიმართლებს თავს, ქვეყანაზე სხვაც ბევრია ავაზაკიო... ისიც ავიწყდებათ, რომ საზღვარ-გარედ თუ რაიმე ცუდი მოხდება ხოლმე, კარგიც მაგიერად ბევრით მეტი კეთდება, ასე რომ ბოლოს და ბოლოს ცუდი ნაკლებია კარგზე, და საფრანგეთის ერი მაინც დიდებული ერი იქნება ყოველთვის.

ჩვენში-კი რას ვხედავთ?—ყოველ ცუდ საქმეში განათლებულ ერთა მაგალითებით ვიმხნევებთ გულს, და კარგში მათი წაბაძვა-კი არც გვინდა და არც შეგვიძლია!..

ს.

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობანი

მომავალ 12 თებერვლისთვის სურამის სამოსამართლო ბოქაული ნ. პანოვი ჰნიშნავს საჯარო ვაჭრობას კონსტანტინე და ივანე გიორგის ძეთა ვეზირიშვილთა მამულის გასასყიდად, რომელიც იმყოფება დაბა-სურამს გორის მაზრაში. მამული შეიცავს ორ-სართულიან ქვითკირის კრამიტიან სახლს და ეზოს. თავნი კალი 2050 მანეთია. მამული დაფასებულია 200 მანეთად. დანარჩენ პირობათა გაგებას მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სასამართლოს ბოქაულს ნ. პანოვს.

— კავკასიის ოლქის საარტილერიო გამგეობა 28 იანვრისთვის ჰნიშნავს საჯარო ვაჭრობას, რათა იჯარადრისაგან მიიღოს 7200 ფუთი მაზუტი სამის კვირის განმავლობაში არტილერიისავე სახელოსნოში. საარტილერიო გამგეობა იმ პირობას სთხოვს იჯარადარს, რომ პირველ კვირაშივე მიიტანოს 1000 ფუთი მაზუტი: ხოლო დანარჩენი 6200 ფუთი შემდეგ ორის კვირის განმავლობაში.

დაწვრილებითი ცნობანი მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ხსენებულ საარტილერიო გამგეობაში.

— ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტი 16 იანვრისათვის ჰნიშნავს საჯარო ვაჭრობას. იჯარით გაცემა სასწავლებლისათვის საჭირო ყოველ გვარი სანოვაგე ერთის წლით. მსურველნი უნდა გამოცხადდნენ ზემოხსენებულ სასწავლებელში 1 საათზედ ზემოხსენებულ რიცხვს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 31 დეკემბერს, შუადღისას სასამართლოს დიდ დარბაზში დაიწყო გარჩევა პანამის საქმისა. სასამართლოს წინაშე წარსდგნენ: შარლ ლესეპსი, ინჟინერი ეიფელი, კოტტიუ და ფონტანი. ფერდინანდ ლესეპსი ავადმყოფობისა გამო სასამართლოში არ გამოცხადდა. სასამართლოს დარბაზი სავსე იყო ხალხით. პირველად ჩვენება ჩამოართვეს შარლ ლესეპს.

სასამართლოს თავმჯდომარემ მიჰმართა შარლ ლესეპს და უთხრა:

— თქვენ შემდეგი დანაშაულობა გბრალდებათ: პანამის საზოგადოების მმართველობას აზრადაც არა ჰქონია პანამის არხის საქმე დაესრულებინა. მმართველობა იმ თავითვე ატყუებდა საზოგადოებას და ამბობდა, ამ არხის გაყვანა 512 მილიონი დაჯდებაო, მაშინ როდესაც თითონ დარწმუნებული იყო, რომ ამ არხის გაყვანას სულ ცოტა 1,800 მილიონი დასჭირდებოდა.

შარლ ლესეპსმა უპასუხა, რომ პირველად პანამის არხის გაყვანას, ფერდინანდ ლესეპსის დაუკითხავად, ხელი მოჰკიდა ბონაპარტ ვიზემ. შემდეგ სინდიკატი დაარსდა, რომელმაც ლესეპსი მიიმხრო. შემდეგ ლესეპსმა სთქვა, ჩვენ სრულებით არ ვატყუებდით ხილხსაო და, თუ გამოვაცხადეთ, რომ პანამის არხის გაყვანა 512 მილიონი დაჯდებაო, ეგ იმიტომ, რომ მაგ ანგარიშის დროს სახეში გვქონდა მხოლოდ ის ხარჯი, რომელიც დასჭირდებოდა პანამის არხისთვის მიწის გაჭრას. დიდი განსხვავებაა იმაში, რასაც თვით პანამის საზოგადოება ამბობდა ამ საქმის შესახებ და რასაც გაზეთები ჰბეჭდავდნენო.

თავმჯდომარემ ამაზედ უპასუხა, რომ გაზეთები იმასა სწერდნენ, რაც თქვენ გინდოდათო და თქვენც გაზეთში დაბეჭდილზედ უარს არ ამბობდითო.

შემდეგ თავმჯდომარემა სთქვა, რომ ფერდინანდმა და შარლ ლესეპსებმა 300 პაით ისარგებლესო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ 322 პაი, თითო 75 ათას ფრანკიანი, სადღაც გაჰქრაო.

ლესეპსმა სთქვა, ეს პაიები ისეთ კაცებს დაურიგეთ, ვისიც დახმარება გვჭირდებოდა პანამის საქმეშიო.

დასასრულ, პრეზიდენტის კითხვაზედ ლესეპსმა სთქვა, რომ, როცა პანამის საქმის შესახებ პროექტი პალატას გადაეცა განსახილველად, უწინდელმა მინისტრმა ბაიომ მოგვთხოვა ერთი მილიონი ფრანკი. პირველადვე ბაიოს მივეცით 375,000 ფრანკი; ამ ფულის მეტი ბაიოს ჩვენგან არაფერი მიუღია, რადგანაც პროექტი პალატამ არ შეიწყნარა.

შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ფონტანს, პანამის საზოგადოების მდივანს. ფონტანმა სთქვა, საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებს 60,000 ფრანკი დავურიგეთ, რომ ამ საქმეში ჩვენთვის ხელი არ შაეშალათო.

კოტტიუს ჩვენების შემდეგ, რომელმაც აღიარა, მე პანამის საქმეში დიდი გავლენა არა მქონდაო და მხოლოდ იმას ვასრულებდი, რასაც მიბძანებდნენო, სასამართლოს თავმჯდომარემ მიჰმართა ეიფელს და უთხრა:

— თქვენ ბრალი გედებათ სხვა დანაშაულობის გარდა იმაშიაც, რომ თვით პანამის საზოგადოებაც მოატყუეთ.

ეიფელი შეკრთა. ცოტა ხანს შემდეგ სცდილობდა დაემტკიცებინა, ლესეპსმა მთხოვა პანამის საქმეს მოემხროო. ნამდვილად-კი დამტკიცდა, რომ ეიფელი დაემუქრა ლესეპსს, პანამის საქმის წინააღმდეგ ვიმოქმედებ, თუ ფული არ მომეციო, და მართ-

---

შედგენილი. ახალის წესდების ძალით-კი საბჭოს ხმოსნებს შეუძლიანთ კენჭის უმეტესობით დაასახელონ ქალაქის მოურავად ორი კანდიდატი და წარუდგინონ მთავრობას, რომელსაც უფლება აქვს დაამტკიცოს ერთ-ერთი მათგანი, ანუ დაიწუნოს ორივენი და უთხრას—სხვები წარმოადგინეთო. უკეთუ არც ისინი მოეწონა, შეუძლიან თავისის ნებით უბოძოს ქალაქის მოურაობა იმისთანას, რომელიც არც-კი დაუსახელებია საბჭოს, არა თუ კენჭი არ უყრია მისთვის. აგრეთვე გამგეობის წევრთა ამორჩევაში ვერ გაჰშლის საბჭო ხელს ფართოდ.

ამავე დროს თვით საქმეთა დაწყება და წარმოებაც საბჭოში პირდაპირ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სწადიან ამა თუ იმ შემთხვევაში მთავრობას, რომელსაც შეუძლიან ყოველ დროს შეაჩეროს საბჭო და უბძანოს—მაგ საგანზედ ნურას იტყვი და აი, თუ გინდა, ამაზედ ილაპარაკეო.

მაგრამ თვალ-საჩინო სიკეთე ახალის სამოქალაქო დებულებისა არის შემდეგი გარემოება. დღემდე თვით-მმართველობა მინიჭებული ჰქონდათ მხოლოდ დიდრონ ქალაქებს, ხოლო პატარ-პატარა დაბა-ქალაქებმა-კი არა იცოდნენ-რა, რას ჰქვიან თავის-თავის მოვლა და პატრონობა. ახალმა დებულებამ ბევრად წინ გაუსწრო ამ მხრივ ძველსა, რადგან იგი შესაძლოდა ჰხედავს თვით-მმართველობის შემოღებას პატარა ქალაქებსა და დაბებშიაც-კი, უკეთუ ადგილობრივი მთავრობა საკეთილოდ დაინახავს ამ საქმეს. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ბ-ნს კავკასიის მთავარ-მართებელს განუზრახავს მიანიჭოს თვით-მმართველობა სიღნაღს, თელავს, დუშეთს, განჯას, სოხუმს და სხვებს. ამათში უფრო დიდრონ ქალაქებს შეუძლიანთ შემოიღონ თვით-მმართველობა თანხმად სრულის დებულებისა, ხოლო დაბასა და პატარა ქალაქებში შემოღებულ იქმნება აგრედ წოდებული შემოკლებული საქალაქო დებულება. აქაც იქნება საბჭო, რომელშიც ამოირჩევენ თორმეტს ან მომეტებულს ხმოსანს, ესენი მართვა-გამგეობას ჩააბარებენ თავიანთს მოურავს და თვითონაც ხანდისხით მოახდენენ კრებებს, სადაც შეუძლიანთ დაადგინონ სავალდებულო განაჩენები თავიანთის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მართალია, მათი განაჩენებიც სრულად უნდა ექვემდებარებოდეს პირდაპირს მთავრობას, მაგრამ, უეჭველია, მთავრობა საკეთილო საქმეში ხელს შეუწყობს ამ ქალაქების წარმატებას.

როგორც მკითხველი დაინახავდა ამ მოკლე მიმოხილვიდგან, ბედი ქალაქების წინ-სვლისა და წარმატებისა სრულებით დამოკიდებულია არა ამომრჩევლებსა და ამორჩეულებზედ, არამედ ადგილობრივს მთავრობაზედ. რამდენადაც უკანასკნელი მომეტებულადაა განვითარებული, რამდენადაც მას უცემს გული ქვეყნის სიკეთისთვის, იმოდენად ქალაქების წარმატებაც უფრო გაძლიერდება და არას გზით-კი არ შეფერხდება. ხოლო უკეთუ მთავრობის წარმომადგენელნი მომხრეობას გაუწევენ იმ მიმართულებას, რომელიც აღვნიშნეთ ზემოდ და რომლის მუდმივს ნატვრას შეადგენს ფრთების შეკვეცა ყოველ გვარის თვით-მმართველობისა და საზოგადოებრივის თვით-მოქმედებისა, მაშინ ძრიელ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ქალაქებმა ის უნარი-ღა გამოიჩინონ საზოგადო მოღვაწეობაში და ისეთის ნაბიჯით იარონ წარმატების გზაზედ, როგორც, მათ-და სასახელოდ, იყო დღემდე. მაგრამ ჩვენი კავკასია ამ მხრივ ბევრად წინა სდგას სხვა ადგილებზე. ჩვენი მთავრობა ყოველთვის მეცადინეობდა ქალაქების დაწინაურებას და ხელს უწყობდა ამ საქმეს მაშინაც-კი, როდესაც ჯერ არ იყო შემოღებული არავითარი საქალაქო თვით-მმართველობა, და ჰხარჯავდა მათს განკარგებაზედ სახელმწიფო ფულს ათას და ათი-ათას თუმნობით. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეხლანდელი მთავრობაც ამ გზას დაადგება და მისცემს თავისს ღონიერს ზურგს ჩვენის ქალაქების წარმატებას, მათს გალამაზებას და გამდიდრებას, გამოიწვევს მოქალაქეთა ხალისს, რომ იგინი ყოველის ღონისძიებით დაეხმარნონ მთავრობას და გააძლიერონ ჩვენს ქალაქებში განათლება ხალხისა, მისი თვით-მოქმედება, აღებ-მიცემობა და მრეწველობა. ამ იმედით დავდოთ ძირს კალამი და ვნახოთ, რას გვეტყვის პასუხად მერმისი.

სტ. ჭრელაშვილი

ლაც რამდენიმე მილიონი გამოართვა.

ექსპერტმა ფლერიმ სთქვა, რომ ეიფელმა 33 მილიონი მიიღო და ამ ფულიდგან მხოლოდ 4 ან 5 მილიონი დახარჯაო. ამით გათავდა საქმის გარჩევა 31 დეკემბერს.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მოგვეცით, თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ, ვინც შემოსწირეს ჩვენს წიგნთსაცავს სხვა-და-სხვა წიგნები: დეკანოზს დ. ღამბაშიძეს, რომელმაც გამოგვიგზავნა 36 ცალი მის მიერ გამოცემული წიგნი, ტფილისის ქართულ «წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“ რომელმაც მის მიერ გამოცემული 4 წიგნი გამოგვიგზავნა, „ქუთაისის გამომცემელს ამხანაგობას“ თავის გამოცემების 2 ცალის გამოგზავნისათვის; ნ-ზ მოსე ჯანაშვილს—აგრედვე 2 წიგნის გამოგზავნისათვის; ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს—თავის თხზულებათა გამოგზავნისათვის („ბრძოლა“); ბ. მღვიმელს, მღვდელს იოილ ფერაძეს და მღვდელს იოანე ფერაძეს.

კიევის ქართველი სტუდენტობა.

1893 წელი 2 იანვარი

ქ. კიევი

---

# დეპეშა

13 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ, საღამოს 7 საათზედ, საზამთრო სასახლეში გაიმართა სადილი ბუხრის ემირის პატივსაცემლად. სადილს დაესწრნენ მათი იმპერატორებნითი უდიდებულესობანი, ხელმწიფის გვარეულობა და 160 კაცი. ემირს ეცვა ფარჩის ხალათი, თეთრის არწივისა და ალექსანდრე ნეველის ბრილიანტის ვარსკლავებით იყო შემკული. სასადილო დარბაზში ხელმწიფე იმპერატრიცა ემირთან ერთად გამობრძანდა, იმპერატორი — დიდ მთავრინა მარიამ პავლეს ასულთან ერთად; სადილის დროს იმპერატრიცა და ემირი ერთად ისხდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზეთ „Гражд.“-ის რედაქტორს დიდად უსაყვედურა, მისთვის რომ პანამის საქმის შესახებ ამ გაზეთში დაბეჭდილ წერილებში ისეთი სიტყვები იყო გადაკრული, რომელიც შეიძლება საწყენად დარჩეთ ზოგიერთ პატივცემულ დიპლოპატებს. ეს ამბავი გამოეცხადათ სხვა გაზეთების რედაქციებსაც.

**ბერლინი.** მემკვიდრე ცესარევიჩი საღამოს $9^1/_2$ საათზედ მობრძანდა. მიეგებნენ: იმპერატორი, პრინცები და ჰერცოგი ენისბურგისა; სამუსიკო ხორომ შეასრულა რუსეთის საერო ჰიმნი. მემკვიდრე ცესარევიჩი ვესტფალიის გუსართა პოლკის მუნდირით ð შავის არწივის ლენტით იყო. იმპერატორი და მემკვიდრე ცესარევიჩი რამდენჯერმე გადაეხვივნენ ერთმანეთს. რკინის გზის სადგურიდგან იმპერატორი და ცესარევიჩი, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ სწვიმდა, ღია ეტლით გაემგზავრნენ რუსეთის საელჩოს სახლისაკენ; ხალხი ალტაცებით ეგებებოდა. იმპერატორმა მისი უმაღლესობა სახლამდე მიაცილა, სადაც უავგუსტოესს სტუმარს მიეგება გრაფინია შუვალოვისა.

**პარიჟი.** პანამის საქმე: ბარბუმ განაგრძო თავისი სიტყვა და დაამტკიცა, რომ გაზეთებში განცხადებისთვის ფულის აღება დანაშაულობად არ ჩაითვლებაო და პანამის საქმისთვის დახარჯული ფული აღემატა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვასაო.

14 იანვარი

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩთან ბრძანდებოდა და 12 საათსა და 45 წამს დაჰყო რუსეთის საელჩოს დარბაზში; მემკვიდრე ჰერცოგიც და ჰერცოგი ვეიმარისა გუშინ საღამოთი სადარბაზოდ მივიდნენ მემკვიდრე ცესარევიჩთან, იმპერატორმა ცესარევიჩს უბოძა ორდენის ჯაჭვი შავის არწივისა.

**ვენა.** დუკსის ახლო Fortschpitt-ის მღვიმე-მაღაროში აფეთქება მოხდა; ჯერ-ჯერობით ასი კაცი აღმოჩნდა მოკლული.

„Neue Freie Presse“ ამბობს, რომ ის ამბავი, ვითომ პრინცმა კობურგელმა ბავარიის პრინცესა დაინიშნა, ტყუილიაო, და აცხადებს, რეჰენსბურგიდგან პრინცი ინგლისს გაემგზავრებაო.

**პარიჟი.** სასამართლოში ლესეპსის ვექილმა ბარბუმ განაგრძო თავისი სიტვა, რომელსაც ხვალ დაამთავრებს; ბარბუ ამტკიცებდა, ფერდინანდი და შარლ ლესეპსები დამნაშავენი არ არიანო, რადგანაც პანამის საზოგადოების ფული იქნება ცუდად მოხმარდა საქმეს, მაგრამ ამ ფულით ლესეპსებს არ უსარგებლიათო.

დერულედმა შეატყობინა მთავრობას, რომ განზრახვა მაქვს შევეკითხო, მართლა გარდასწყვიტეთ, თუ არა, რომ პარლამენტის ის წევრნი, რომელთაც დანაშაული ბრალდებოდათ პანამის საქმეში, განთავისუფლებულ იქმნანო.

15 იანვარი

**ბერლინი.** მემკვიდრე ცესარევიჩი, ელჩი გრაფი შუვალოვი, იმპერატორი ვილჰელმი და პრინცი ჰენრიხი გუშინ ეწვივნენ საუზმედ გვარდიის გრენადერის იმპერატორის ალექსანდრეს მოსახელე პოლკის აფიცრებს. გერმანიის იმპერატორმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, მემკვიდრე ცესარევიჩმა-კი—იმპერატორის ვილჰელმისა. პოლკის კომანდერმა სთქვა სადღეგრძელო მემკვიდრე ცესარევიჩისა. იმპერატორმა, სხვათა შორის, სთქვა: არა ერთხელ მოღებული წყალობა და დიდი ყურადღება, რომელთაც არ აკლებს რუსეთის იმპერატორი თავის პოლკს, აგრეთვე მეგობრული თანაზიარობა ჟამსა ჩემის ოჯახის სიხარულისასა, რომელიც კვალად დამტკიცდა მემკვიდრე ცესარევიჩის ეხლანდელის მობრძანებით, მავალებს გამოვუცხადო უმხურვალესი ჩემი მადლობა. ჩვენ ყველანი ვცნობთ რუსეთის იმპერატორს, არა მხოლოდ როგორც უმაღლესს შეფს პოლკისასა, არა მხოლოდ უკეთილშობილესს ამხანაგს, არამედ ყოვლთა უწინარეს როგორც დიდის ხნით ნაცად მონარქიულ ტრადიციებით მოსილს, რომელსაც არა ერთხელ დაუმტკიცებია ძმობა და მეგობრობა იმათი, რომელნიც მასზედ წინად ყოფილან. ეს ძმობა და მეგობრობა წინად დამტკიცებულ იქმნა რუსეთისა და პრუსიის პოლკების ერთად სისხლის დანთხევით ველსა ბრძოლისასა პირის-პირ მტერთა. აილეთ ყველამ ჭიქა და წარმოსთქვით გულის სიწმინდით „ურა“ მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს. მემკვიდრე ცესარევიჩმა მადლობა გადაუხადა, დალია გერმანიის იმპერატორის და გრენადერთა გვარდიის, ხელმწიფე ალექსანდრეს მოსახელე პოლკის სადღეგრძელო.

რეიხსტაგში, როდესაც იმპერიის კანცლერის ბიუჯეტის შესახებ ჰქონდათ სჯა, თავისუფალ-მოაზრეთა დასის წევრმა ბარტმა სურვილი გამოაცხადა, რუსეთთან სავაჭრო პირობა შევკრათო.

**პარიჟი.** ლორდმა დეფფერინმა აცნობა საფრანგეთს, რომ ინგლისის განზრახვა ეგვიპტეს ოკუპაციის შესახებ არ შეცვლილაო. ელჩს ვადინგტონს ეს აცნობეს და დაავალეს, სთხოვე ლორდს როზბერის, რათა მან დაბეჯითებით განგიმარტოს ყველა ის შემთხვევა, როდესაც ინგლისი მოვალეობად სთვლის ესა თუ ის ღონისძიება მიიღოს ეგვიპტეშიო.

**ვენა.** ინგლისმა ისე ბეჯითად ვერ შეასრულა საქმე ქაირში, როგორც ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რათა ბოლოს მოუღოს ეგვიპტის სამინისტროს მტრობას ინგლისის წინააღმდეგ. უნდა კიდევ მიიღონ სხვა ღონისძიება, რომ განაგრძონ ეგვიპტის ოკუპაცია.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 3-დგან $2^1/_2\%$-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 12 იანვარი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,80}$ | $7_{,84}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $155^3/_4$ | $156^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | $1_{,08}$ | $1_{,10}$ | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | $241^1/_4$ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 228 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | $192^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | $102^1/_2$ | — ,, | — ,, |
| 5% | $99_{,87}$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | $102^1/_2$ | — ,, | — ,, |
| 5% | $99_{,87}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


## კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—2)

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—29) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

СЕЗОНЪ 1893 ГОДА. „ТОВАРИЩЕСТВО ПРОМЫШЛЕННИКОВЪ САРПИНСКИХЪ ИЗДѢЛІЙ“ СЕЗОНЪ 1893 ГОДА.

золотая медаль сэнъжилль 1892 г. **сарпинка—платки** золотая медаль брюссель 1892 г.

чулочная **пряжа—юбки** сарпинка

сарпинка **рельефъ—чесунча** сарпинка

Ручнаго ткачества, собственной выработки. Продажа цѣльн. штуками и аршинами—пересылка во всѣ мѣста Россійской Имперіи и за-границу. Образцы, въ изящномъ „Альбомѣ“, высылаются съ Декабря мѣсяца 1892 г. за 42 коп. почтовыми марками. Переписку просимъ вести *на русскомъ языкѣ*.

Золотая медаль Лондонъ 1892 г. АДРЕСЪ: САРАТОВЪ—Товариществу Сарпинокъ. Золотая медаль Брюссель 1891 г.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

(მეთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას აღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქციის იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.